პ რ ო ე ქ ტ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე 4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N160 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის სექტემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წიმადებარე განკარგულებას თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენელი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრავას ქუჩა N 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენელი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი